

Caparol AquaSperrgrund

ლაქების საწინააღმდეგო და ადჰეზიის ხელშემწყობი თვისებების მქონე წყალდისპერსიული საგრუნტავი. ინტერიერში გამოსაყენებლად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ნიკოტინის, ქვარტლისა და წყლის ლაქების წინააღმდეგ კარგი ბარიერული თვისებების მქონე საგრუნტავი - გაუფერულებისკენ მიდრეკილი და ანილინის შემცველი ნივთიერებების მქონე ზედაპირების დასაფარად. ასევე შესაფერისია, როგორც ლაქების წარმოშობისგან დამცავი საფარი - კედლის შპალერით გაფორმებამდე. გარდა ამისა აქვს დამლუქავი თვისებები - დისპერსიული საღებავით შეღებილი ხის ან ხის შემცველ ზედაპირებზე.

თვისებები

- წყალდისპერსიული, ეკოლოგიურად უსაფრთხო
- მაღალი საიზოლაციო მოქმედება
- დიფუზიური
- ტუტე-მუდები
- sd-მნიშვნელობა < 0,1 მ
- ადჰეზიის მაღალი მაჩვენებელი
- სუსტი არომატის მქონე
- დაბალი დაძაბულობით

მასალის შემკვრელი
შეფუთვა
ფერი

კათიონური პოლიმერული ფისი ხსნარში
5 ლ, 12.5 ლ.
თეთრი.

სხვა მასალებთან შეუთავსებლობის გამო პროდუქტის შეფერადება შეუძლებელია.

სიპრიალის ხარისხი
შეფუთვა
ტექნიკური პარამეტრები

მქრქალი (DIN EN 13 300-ის მიხედვით)
შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.
■ სიმკვრივე: დაახლ. 1.4 გ/სმ³

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606-ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	-	-
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	ყველა სტანდარტული მინერალური ზედაპირი (ფითხები/ბათქაშები, ბეტონი, აგური, ქვიშა), ბოჭკოვანი ცემენტი, ხის ბოჭკოვანი და ხის შემცველი ზედაპირები/დაფები, თაბაშირი, თაბაშირ - მუყაოს ფილები, საღებავით დაფარული ზედაპირები, კერამიკული საფარი, ფერადი ლითონები, ასევე მინა და სინთეზური მასალები (შეამონმეთ თავსებადობა საცდელი დატანით).
ზედაპირის მომზადება	ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, განმაცალკეებელი ნივთიერებებისგან (ზეთები, ცხიმები) თავისუფალი, მშრალი. თანახმად სტანდარტისა VOB, ნაწილი C, DIN EN 18 363, პარაგრაფი 3. ნიკოტინის, წყლის, ქვარტლის ან ცხიმის ლაქების მქონე ზედაპირები, უნდა მოირეცხოს წყლით და ცხიმის საწინააღმდეგო საშუალებებით, შემდგომ გაშრეს ბოლომდე. წყლის გამშრალი ლაქები გაინმინდოს მშრალი ფუნჯით.
დატანის მეთოდი	პროდუქტის დატანა შესაძლებელია სამღებრო ფუნჯით, ან გორგოლაჭით. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე უნდა გაირეცხოს წყლით.
დაფარვის სტრუქტურა	საგრუნტი ფენა: დაიტანეთ გაუზავებლად. უკიდურესად მაღალი დატვირთვების ქვეშ მყოფ ზედაპირებზე, დაიტანეთ ორი ფენა.
ხარჯი	დაახლ. 90 - 110 მლ/მ ² ერთი ფენა, გლუვ ზედაპირებზე. უხეშ ზედაპირზე ხარჯი იზრდება შესაბამისად. ზუსტი დანახარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.
გამოყენების პირობები	მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრომის პროცესში: ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +5 ° C.-სა. ოპტიმალური საიზოლაციო ეფექტის უზრუნველსაყოფად საჭიროა მინიმალური ტემპერატურა +16 ° C.
შრომის დრო	+20 °C და 65 % ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 12 საათში. დაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრომის დრო იზრდება.
შენიშვნა	არ შეიძლება Caparol AquaSperrgrund-ის სხვა მასალებთან შერევა/გაზავება! ძლიერ დაბინძურებული ზედაპირების დაფარვისას ან ისეთ სივრცეებში სამუშაოებისას, რომლებიც მოკლე ვადაში უნდა იქნას გამოყენებული - მიზანშეწონილია გამოიყენოთ მაღალი ფარვადობის მქონე და სწრაფად შრომადი პროდუქტი: Aqualinn No1. უკიდურესად დაბინძურებული ზედაპირებისთვის ჩვენ გირჩევთ გამოიყენოთ პროდუქტი: Dupa-inn N°1. შენობებში, სადაც ინახება ან ინარმოება საკვები პროდუქტები, Caparol AquaSperrgrund-ის გამოყენების შემდგომ აუცილებელია სივრცე ნიაკვებოდეს მინ. 3 დღე - შემდგომ სამუშაოებამდე.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას! გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებად შენობებში. არ ჭამოთ, არ დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობისას. თვალთან ან კანთან კონტაქტისას, დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად ჩამოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყლის მიღება ან ნიადაგში მოხვედრა. სამუშაო ჭურჭელი და ხელსაწყოები, გამოყენებისთანავე განმინდეთ საპნით და წყლით. არ შეისუნთქოთ მიფრქვევით დატანისას ნარმოქმნილი „ღრუბელი“. დამატებითი ინფორმაცია: იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (MSDS).
უტილიზაცია	შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 2-მეთილ-2სთ იზოთიაზოლ-3-ონი. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/g): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 20 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი	M-GP01 (გერმანია)
შემადგენლობა	პოლიაკრილატის ფისი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, გლიკოლის ეთერი, დანამატები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.